სადგომა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვებ თად მიმართავენ რედაქციას დილი- 10 გ. საათამდე და საღამოს 6—7 მდე „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გამოწერის ფასი: ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე

გაზეთი „ცნობის ფურცელი"

ეღირება 3 მან. 50 კაპ.

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

ახლად გახსნილი ქართველ მგზავრთათვის

მორთული ოთახები „აბაშა"

ტფილისში მეორე მოლაკნის ქუჩაზე, მჟავლიძის სახლებში

ეს მორთული ოთახები მართლაც და მოსარჯენებლად და მოხერხებულს ადგილას არის მგზავრებისათვის; ტფილისის ვოკზალის მახლობლად და სწორედ კარებზე უზდის ავჭალის კონკა.

ოთახები სავანგებოდ და საუცხოვოდ არის მორთული და თან სუფთა, წმინდა და სინათლიანი. მოსამსახურე თავაზიანი და მარდი.

ფასი საშუალოთოდ იაფია

50 კაპიკიდან 1 მან. 50 კაპიკ. დღეში თვეობით უფრო იაფი.

დავშთები მარად პატივცემული ნიკო თოფურია. (10—2)

!!მგზავრთა საყურადღებოდ!! !!მგზავრთა საყურადღებოდ!!

!!მიაქციეთ ყურადღება!!

ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

იმპერიო ჩაი პირველი მოკრეფისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიებით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და სათვალთ ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის

მაღაზიები [illegible] ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—35)

საავადმყოფო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. პ. გორდესი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, აფთიქი და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** ქართ. დრამ. საზოგად. კანტორის გახსნა. ჩვენს მკითხველებს ალბად ახსოვთ, რომ ამას წინედ ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო ქართული დრამატიული საზოგადოების მიერ საზოგადოებისავე კონტორის გახსნის განზრახვა. ეხლა კონტორა უკვე გაუხსნიათ და დამდეგ კვირას 13 ივნისს კიდეც აკურთხებენ მას. კონტორაში ჯერხანად მოთავსებულია საზოგადოების კანცელარია და ბიბლიოთეკა. კონტორა იმყოფება სათავად-აზნაურო ქარვასლაში № 122 თეატრის გვერდზედ, „ცნობის ფურცლის" რედაქციის პირდაპირ.

*** ქუთაისის ბანკის არჩევნები. იმერეთის დევ-გმირი კალისტრატე ჩიკვაიძე კიდევ აირჩიეს ბანკის თავმჯდომარედ. ეს ამბავი და სხვა ბევრიც, რაც ამ არჩევნების ხრიკებს შეეხება გუშინ მივიღეთ. გვინდოდა ყველაფერი გამოგვეცხადებინა, მაგრამ რადგან თვით ქუთაისში ყველამ იცის ალარ ვთვლით საჭიროდ! სამასხარო საქმე რომ სამასხაროდ გათავდებოდა, განა ყველამ არ ვიცოდით!!

*** კურსი დამთავრებულები ტფილისის სასულიერო სემინარიაში. წელს სას. სემინარიაში კურსი დაამთავრა 33 მოწაფემ, მათ შორის ქართველები 27 კაცია: ვლადიმერ ჩიხლაძე, ალ. ალადაშვილი, გ. ქანიშვილი, ბარ. დალაქიშვილი, ონიკანტე გამზარდია, სერგეი მაქარაშვილი, გერვასი ბარათაშვილი, სიმონ გულუა. კალ. მაჭიტაძე, კობახიძე, ბიქ. ბერიძე, ვ. კოჭიაშვილი, ბიქ. შარაშიძე, ლეონტი ლოლობერიძე, გრიგოლ მამამთავრიშვილი, სერგეი მესხი, ივ. კასრაძე, ივ. კალანდარაშვილი, პ. კალანდარაშვილი, გ. ჩახნაშვი, ნ. მაისურაძე, პ. კოპლატაძე. ს. ახმეტელოვი, გ. ხახუტაშვილი და პ. გელაშვილი.

*** ჯვარის მონასტერი და მისი ღელეობა. სადგური ავჭალიდგან ექვსი ვერსისის მანძილზე მდინარე არაგვის პირზე მცხეთის პირდაპირ ერთს ციცაბო კლდეზე აშენებულია ეს დიდებული ჯვარის მონასტერი. ამ მონასტერში ეტლით მოგზაურობაც შეიძლება, რადგანაც გზა საკმაოდ კარგია. ამ მონასტერში მლოცველი გაკვირვებად გადაიქცევა, რომ შეხედავს ასე ვრცელს ეკლესიას სულ თლილის ქვით ნაშენს. ამ მონასტერს იმიტომ ეწოდება ჯვრის მონასტერი, რომ შიგვე ასვენია სასწაულთ მოქმედი ჯვარი იმ ხისაგან გაკეთებული, რომელიც იმავე ადგას ამოსულიყო. და როცა წმიდა ნინო მობრძანდა და მირიან მეფე და ქართველები განანათლა ნათლის ღებითა, მაშინ ხალხმა უამბო ეპისკოპოსს იოანეს და ნინოს იმ ზემო თქმულ ხის შესახებ, რომ მრავალი სასწაულები ხდებაო. ასე რომ თუ რომელიმე მონადირეთაგანი დასჭრის რომელიმე ცხოველს, თუ ამ ხის ფურცელი ჭამა ან თუ მისი თესლი, ნამდვილად ჭრილობისაგან თავისუფალი ხდება, და იკურნებაო. მაშინ განკვირდა ამ სასწაულზე ეპისკოპოსი, გამოვიდნენ გამოდმა, იოანე და მასთან მირიან მეფე ძე რევ, და მასთან მრავალი ერი და მოკვეთეს ხე იგი და წამოიღეს ასმა კაცმა თავის ტოტებით, და ფურცლითურთ მცხეთაში და გროვდებოდა სიმრავლე ხალხისა ამ სასწაულთ მოქმედი ხის სანახავად, რადგანაც ზაფხული იყო, ამ ზემო თქმულ ხესთან მოჭრილი ყველა გახმა, ხოლო ხე

იგი თავის ფურცლიანად ისევ იყო და სურნელება ასდიოდა აღმართეს ეკკლესიის სამხრით, სადა ბერვიდა ნიავი და ფურცელი დაუქანობელად ეგო. ეს ხე მოსჭრეს ოცდა ხუთსა მარტსა დღესა პარასკევსა და იმ მოჭრის დღიდგან დაადგრა ხე იგი ოცდა შვიდმეტსა დღესა და არა შეიცვალა ფერი ფურცელმან მისმან, როგორც მოუჭრელად ისე ეგო. თვესა მაისის პირველსა გააკეთეს ჯვარნი და აღმართეს შვიდ მაისსა მეფემ და ერმა დიდი სიხარულით გადაიხადეს ეს დღესასწაული. ამის შემდეგ მეფეც და ხალხიც ხედავენ, რომ ჩამოდიოდა ჯვარი ცეცხლის ფერი ზეცით მის ზედა სადაც ის ზემო თქმული ხე იყო აღმართული ეკკლესიის სამხრით. მსგავსი გვირგვინისა ვიდრე გათენებამდე რიჟრაჟის დროს გამოვიდოდა მისგან ორნი ვარსკვლავნი, ერთი წარვიდოდა აღმოსავლით, ერთიც დასავლით და ერთი უფროსი ეგრეთ განვიდოდა კერძო არაგვისა და დადგებოდა ბორცვსა მას კლდისასა, რომელიც წმიდა ნინოს ლოცვით და ცრემლით აღმოცენებულიყო, და იმ წყაროს ბორცვიდგან ამაღლდებოდა ზეცად. ამის შემდეგ კიდევ მრავალ გზის იხილეს ასეთივე სასწაულები. წმიდა ნინომ ბრძანა. წარიღეთ ორნი ჯვარნი და აღმართეთ ერთი თხოთს სადაღმერთმა გახილვა ძალი მისი და ერთიც მიეც სალომე მხევალსა რათა აღმართოს უჯარმასო, და ეგრე აღასრულეს როგორც უბრძანა მათ ნინომ. ხოლო მესამე ჯვარი უფრო დიდი მცხეთას იპყრეს ხელითა კაცობრივთა და მივიდნენ ბორცვსა მას ქვეშე წყაროსა მას ზედა და ათიეს ღამე და ილოცეს ღვთისა მიმართ. და ნეტარი ნინო ცრემლით შეაზავებდა და იქნებოდა კურნებანი და სასწაულნი დიდნი ეს ნინოს ცრემლის წყარო დღესაც მრავალ სასწაულებს ახდენს, რომელიც შორავს მონასტერს ასი საჟენის მანძილზე დაბლობში და დღესაც ამ წყაროზე განსაკუთრებით მლოცავები დადიან დაიკურნებიან კიდეც ვინც სასოებით იქცევა. და ამ წყაროზე იტირეს ყოვლა წოდებისამ სასულიერომ და საეროამაც და მეორე დღეს აღვიდენ კლდესა ზედა და დავარდენ ქვაზე ტირილით ცრემლით. ამ დროს წმ. ნინომ დადვა ხელი ერთ ქვაზე და რქვა ეპისკოპოსს მოვედ რამეთუ შენდა ჯერ არს და დასწერე ჯვარი ქვასა ამას და ჰყო. ეგრეთ აღმართეს ჯვარი იგი დიდი სასოებით მოიდრიკა მუხლნი მეფემან და მთელმა ერმან, აღიარეს ჯვარცმული ჭეშმარიტად ძედ ღვთისად. და იწამეს ღმერთი სამებით. იქ მყოფმა მეფემ და ხალხმა იხილეს სასწაული დიდნი და არა განეშორებოდეს ჯვარსა ამას და ურიცხვნი სასწაული ხდებოდა. მრავალი სასწაულების შემდეგ კიდევ იხილეს სასწაული სული წმიდის მოსვლის შემდეგ ოთხშაბათსა. აჰა ესე რა სვეტი ნათლისა ვითარცა ცეცხლი ისე ადგა სახედ ჯვარსა მას ზედა და ათორმეტნი ვარსკვლავი მსგავსად გვირგვინისა გარემოს მისსა, ხოლო ბორცვი იგი ჯვარისა კმეოდა სურნელად. მას ყოველი ხედვიდეს და მრავალი ულმრთო თაგანი მოიქცენ და ნათელ იღეს, მრავალი სული ცხოვარი წარწყმედული შეეძინებოდა ქრისტესა დღესა ამას ოთხშაბათსა. აი იმის მიზეზით სრულდება ეს დღესასწაული სულის წმიდის მოსვლის შემდეგ მომავალს ოთხშაბათს. (რაც თვე დახვდეს) აწ მოვიდეთ პირველსა სიტყვასა, ეს ჯვარის მონასტერი, რომელიც აწცა ისევე სდგას გაკეთებულია, VI საუკუნის დასასრულს პირველად როცა ბაგრატოვანთ გვართ მიიღეს მეფობა, გააკეთა იმ დროს გამეფებულმა გურამ ბაგრატოვანმა, აღაშენა სახელოვანი ეკკლესია ესე რასაც წარწერა დღესაც მოწმობს, მხოლოდ მისმა შვილმა დაასრულა მამის მიცვალების შემდეგ სტეფანოზპა. ამის შემდეგ მრავალი სასწაული ხდებოდა ამ ჯვრისაგან. იყო მონასტერი შემდეგ საქართველოს განადგურებისა, არხიმანდრიტობასა ამა მონასტერსა ზედა იოანე გედეონიშვილისა. ეს მონასტერი გაათხრეს ლეკებმა 1787 წელსა, როგორც მოწმობს ისტორია. ამის შემდეგის ჯვარი მცხეთის სვეტის ცხოვლის სობოროში გადაასვენეს და ეგო იქ ვიდრე 1892 წლამდი, ხანამ ყოვლად სამღვდელო აწ გურია სამეგრელოს ეპისკოპოსმა არ ინება ამა მონასტრის განახლება და როცა ყოვლად სამღვდელომ 1892 წელს გახსნა ეს შესანიშნავი მონასტერი თავის საფასით, რადგანაც რამოდენიმე ასი თუმანი შეიტანა კასაში და ამის სარგებლით აცხოვრებდა ბერს და რამოდენიმე მორჩილებს, სულ ხუთს კაცს. მაშინ ის სასწაულთ მოქმედი ჯვარიც იქვე გადმოასვენეს ყოვლად სამღვდელოს ბრძანებით და დაასვენეს ეკკლესიაში, სადაც უწინ ესვენა და იმ ხის ძირზე აღუშენებიათ ნიში და იმ ჯვრის დასასვენებელი, სადაც დღესაც ასვენია.

ამ მონასტერში დიდი შრომა მიუძღვის აწგარსვენებულს მღვდელ მონაზონს დიომიდეს, რადგანაც პირველად იმის ხელისაგან მიიღო გამშვენება ამ ლეკებისაგან დიდი ხნიდგან განადგურებულმა ეკკლესიამ და ეკკლესიის გაუმჯობესობაში დალია სული კიდეც. სამწუხაროდ დღეს ისევ ერთი კაცია და წირვა ლოცვა აღარ სრულდება მხოლოდ დღეობას მათი მეუფება ეპისკოპოსი ლეონიდე ან თვით წაბრძანდება ან და ვინმეს გაგზავნის.

მორჩილი.

*** **ქ. გორი.** კურს დამთავრებულნი დედათა პროგიმნაზიაში. წელს გორის დედათა პროგიმნაზიაში სწავლა დაამთავრა სულ 13 მა მოსწავლე ქალმა სახელდობრ: თამარა ლომაურმა, სალომე სულხანიშვილმა, ნინო იონათამოვმა, მარია მაკალათიამ, ბარბარე კოკელიძემ, სოფიო ციცაგიშვილმა, ოლგა კოპინაშვილმა, სოფიო შატბერიშვილმა, რია მაზაევმა, ალ. იშრაიკოვმა, ოლიმპია და ტომიჩმა, და სოლომონია როზელფერდმა. ცხრა ქართველი არის, სამი რუსი და ერთიც ებრაელი. თამარა ლომაურმა მაიი [illegible] ილდო და ა[illegible] ფურცელი.

— კურს დამთავრებულება სასტატო სემინარიაში. წელს გორის სასტატო სემინარიაში სწავლა დაამთავრა სულ 14-მა კაცმა ამათში მხოლოდ ოთხი არის ქართველი: ვანო მათიკაშვილი, ვლადიმერ ქუთათელაძე, პლატონ ლეჟავა და ვანო ლეჟავა. დანარჩენი 8 თათარი არის ერთი რუსი, ერთი სომეხი და ერთიც ბერძენი.

ვ. ლალიაშვილი.

*** **ს. დვანი** (ქართლი). სეტყვა და ნიაღვრისაგან დაღუპულნი. 2 თიბათვეს მოულოდნელად აირია ღრუბელი. ნაშუადღევის სამი საათიდან ამ არეულ ღრუბელს მოჰყვა დიდი წვიმა და სეტყვა ამასთან სოფ. დვანის შუაში ჩამოწანწკარებს პატარა მდინარე წყალი სახელდობრ ტალიანა მოულოდნელმა წვიმა-ნიაღვარმა ააღელვა პატარა მდინარე, რომელიც ისროდა ზვირთებს დიდრონი მთასავით და დაეცემ სოფ. დვანს, შეიქნა ერთი წივილ-კივილი სოფელში, აღარ იციან ხალხმა თუ თავი როგორ გადაირჩინონ ამ უბედურებისაგან, ნიაღვარი მივარდება სახლებს, სახნავ მამულებს, ვენახებს, ჰირნახულებს და აოხრა სადაც კი მიუდგა. გაშმაგებულმა მდინარემ აღარ დატოვა მახლობელ სახლში წვრილფეხი საქონელი: ღორი, ქათამი, ბატი და ძროხა მთლად ამოჟლიტა და დაალრჩო სამი საათიდან ექვს საათამდის. ამ სამ საათში მდინარემ გაანიორწყალა მთელი სოფელი, სულების მეტი ვეღარა გადაარჩინესრა. არ იცოდნენ თუ საით გადაცვინულიყვნენ; აღმოსავლეთით ფრონე ჩამოუდის ამ სოფელს გვერდეზე, იქით წასვლა არ შეიძლებოდა, რადგანაც იმან უარესი დაგვაყენა. მაშინ ხალხი სახლის ბანებზე აცვინდნენ და ბევრნი კიდევ მინდვრებში გაიქცნენ. ვინც მოასწრო წყლის მოდიდებამდის იმით გადინარჩუნეს ცარიელი სულები. უმეტესი ნაწილი მამულებისა სულ ერთიანად გაოხრა, განსაკუთრებით კოსტა, იასონ და გოგა ფავლენიშვილების სახნავი მიწები, ვენახები, ყანები, სიმინდები, ქერები და სხვა ჰირნახულები სულ ერთიანად წალეკა. საზოგადოდ მამულები ისე გაოხრა, რომ შემდეგშიაც აღარ გამოდგება სახნავათ. ზარალი მეტად დიდია.

დამსწრე

*** **ს. კაცხი.** პუშკინის დღესასწაული. ოც-და-ექვს მაისს ესე იგი დღეს ჩვენდამი ორ კლასიან სამინისტრო სასწავლებელში იქმნა გარდახდილი პანაშვიდი განსვენებულის რუსის პოეტისა „ალექსანდრე ს. პუშკინისა, რომლის პანაშვიდის გარდახდის დროს დაესწრნენ მრავალნი აზნაურნი და გლეხნი და მასთან მრთელად ამავე სასწავლებლის მოწაფეები—(რიცხვით 200) ზალები და ბალკონები კარიდორით სასწავლებლისა ძვირფასათ იყო მომართული და შემკული ვარდებით და სხვა და სხვა სამკაულებით. პანაშვიდი გარდახდილ იქმნა ადგილობრივი მღვდლით გიორგი ანთაძით, და გალობდნენ ამავე სასწავლებლის შეგირდების-ხორო, რომელსაც მართავს ამავე სასწავლებლის მასწავლებელი აზ.—ვალერიანე ა. თუთბერიძე. რომელმაც ძვირფასად აგალობა ხორო მოწაფეებისა. პანაშვიდი რომ გათავდა, მღვდელმა გიორგი ანთაძემ უთხრა რამოდენიმე სიტყვა იქ დამსწრეებთ შესახებ დღევანდელი უქმობისა. მასთან მასწავლებელმაც ვალერიანე თუთბერიძემ აიღო ხელში პოეტის პუშკინის სურათი და წარმოსთქვა სიტყვა მის შესახებ თუ პუშკინი ვინ იყო თავიდან და ბოლოს მასთან წარმოსთქვა რამოდენიმე სიტყვა სწავლა განათლების შესახებ, რომელი სიტყუვითაც ცხადათ დაანახვა იქ მდგომარე პირებს და შეგირდებს თუ რა არის სწავლა და უსწავლელობა, და რამდენათ წინ არის ნასწავლი კაცი უსწავლელზედ და უსწავლელი კაცი მოკლებულია ყოველს ნეტარ ბედნიერებას და ბრმათ დაიარება და მისთვის ყოველს დროს ღამეა. ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება იქონია ყველაზედ. შემდეგ ამ სიტყვისა მეხუთე განყოფილების, ესე იგი მეორე კლასის შეგირდებმა წარიკითხეს რამოდენიმე ლექ-

...სი განსვენებული პოეტის ნაწერი და მასთან მოსწავლეების ხოროც თანაუგრძნობდა სიმღერითა.

ბოჩიმელის-პირელი

*** **ს. ოფშკითი.** (იმერეთი) სასტიკი დასჯა. ათს მაისს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ღამის თერთმეტ საათზე აქაური მცხოვრებელი ფარნაოზ ველიაშვილი შესულიყო ამავე სოფლის მცხოვრებლის მიხეილ ძოძუაშვილის ბეოლის (თუთის) ხეზედ ფოთლის მოსაკრეფად. თურმე პატრონს თავისი მეზობლისაგან გაეგო, რომ ველიაშვილი შინ ბეოლის მოსაპარავად აპირებდა წასვლას, როგორც იმის ლაპარაკიდგან სჩანდა დღეს... ძოძუაშვილი მაშინვე ტყვიით გატენილ თოფით წასულიყო სადარაჯოდ. დაინახა ველიაშვილი თუ არა ბეოლასა ჰკრეფდა, ესროლა თოფი და საბრალო ძირს ცოცხალ-მკვდარი ჩამოაგდო და მეორე დღეს გადაიცვალა

— **აბრეშუმის საქმე ჩვენში.** ამისთანა მაგალითები არა ერთი და ორი მოხდა წელს იმერეთში ბეოლის გულისთვის; ეს სულ აბრეშუმის მოყვანამ გამოიწვია, რომელმაც ბეოლა ისე გააძვირა, რომ ერთი მანათიდან სამ მანეთამდის იძლევიან, მაგრამ შოვნა არსად არის. ბევრმა პარკის გასაკეთებლად მომზადებული ჭია კიდეც გადაჰყარა საჭმლის უშოვნოლობის გამო.

არც ერთი ოჯახი არის, რომ წელს ორი და სამი კოლოფი თესლის აბრეშუმი არა ჰყავდეს, მაგრამ როგორცა ვსთქვით საჭმელმა უსუსტაო. შრომას ხალხი ადვილად იტანდა, რადგან მომავალს ელოდნენ: პარკი ბლომათ მოგვივა კარგ ფასად გავყიდით და ჩვენი ნაშრომით გავიხარებთო... მაგრამ როგორც ეტყობა ტყუილი მოლოდინი აქვსთ: აქაური პარკის მყიდველები, რომლებსაც დიდრონი ქარხნები აქვსთ ჩვენს სოფელში ეშმაკურად იქცევიან: ხალხს პარკს ...რთმევენ წონით და თუ გინდათ ...ითო თუმანი მიიღეთ ფული პარკის ფასი თუ არა და დაიცადეთ ...ვნისის ნახევრამდის მაზანდა როგორც გადაწყდება, ისე მიიღეთო ...უბნებიან. ხალხს 20—25 მანეთის იმედი აქვსთ და ვინ იცის ...ქნება იმის მესამედი ფასი დაადგინონ მექარხნეებმა და ...ი უსიამოვნება მოხდება ხალხთა ...ა მექარხნეთა შორის, თუ რიგია... ...ფასი არ აიღეს, რადგან ხიმინ...ის და სხვა პირნახულის მუშაო...ს ხალხმა თავი დაანებაბა აბრეშუმს მიჰყვეს ხელი.—საჭირო არის ...გილობრივმა მთავრობამ ყური... მიაქციოს.

ამავე სოფელში 24 მაისს უცბად ჭაში დაიხრჩო ამავე სოფლის მცხოვრებელი ლევან წიქრიძე. თურმე საბრალოს დილით მოწყურებოდა ამდგარიყო და წყლის ამოსაღებად ჭაზე წასულიყო, ნამძინარევი თვალებით უცბათ ვერ დაინახა კარგათ ჭის პირი, ფეხი დაუცდა და ჩავარდა თავქვე. დაძახებაც ველარ მოახერხა. შუადღისას თავისმა უფროსმა შვილმა ნახა.

ვანო ლალიაშვილი.

## გურიის სავაჭრო ამხ. „შუამავლის" დაუდევრობაზე.

ხსენებული ჩვენი „შუამავალი" სწორედ ორი წლიწადი იქნება რაც წესიერ გზაზე დაადგა თავენთებურ მოქმედებისაზე. თუ როგორ უწარმოებია დღევანდლამდე იმას აღარ ვიხსენებ, იმიტომ რომ წარსულია, და წარსულის გამოკიდებაზე ხომ აწმყოც ხშირად დაგვიკარგავს და ამიტომაც აწმყოს მივიღებ მხედველობაში „შუამავალის" წესდების 1-ლი მუხლიდან სჩანს, რომ იგი დაარსებულია იმ მიზნით, რომ ადგილობრივ ნაწარმოებს მისცეს შესაფერი ბაზარი მაინც და ჩარჩ ბაცაცების კლანჭებს კი მოაშოროს ჩვენდა საკეთილდღეოდ. ეს ასეა გარეგნობით, ფორმით მაგრამ მოქმედებითკი არას რულებენ თავიანთ დანიშნულებას.

წრეულს, თებერვლიდამ დაიწყო ჩვენმა „შუამავალმა" სხვა და სხვა ფირმის აბრეშუმის თესლის გაყიდვა, თითო კოლოფს (6 მისხალს) ჰყიდა 2 მ. 50 კ, 3 მან. 50 კაპიკამდე.

უფრო დიდ ფასათ დაჰქმეული თესლი იყიდებოდა, რადგანაც ის უფრო კარგის თვისების იყო, მარა კარგი რო გაიყიდა, მაშინ ცუდი თვისებისაც კი გაიყიდა. ამ უკანასკნელს სხვისაგან არ იყიდდნენ, რადგანაც ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ამხანაგობა არ მოატყუებდა და ცუდს თესლს არ გაყიდდა. იქნა რომ ამხანაგობის გლახა და კარგი ფასის თესლი ერთნაირი დარჩა თითქმისა

ზოგი სულ არ გამოვიდა ბოზოლი, ზოგი თუ გამოვიდა, ისიც გაზვიადებული და აქედგანაც ხომ სანახევრ-სამეოთხედოთ კლდა და ბევრმაც სრულებით იზარალა კიდეც.

მყიდველებმა პირველშივე რა შენიშნეს თესლის სიყალბე, დაუბრუნეს, მარა ამხანაგობამ არ დაიბრუნა: „რა ვქნათ ჩვენ შიგ ხომ არ ვზივართ, კარგთან გლახაც გამოსულაო"!..

ასე რომ აბრეშუმის ყიდვაში ხალხი დაუფთხა ამხანაგობას და იძულებულ იქმნენ კერძო პირებისაგან [illegible] ხელმეორეთ.

ბევრჯერ ეკითხებოდნენ ამხანაგობაში, ბატონო, აგი კაკალი სხვა-და-სხვა ფასებში რომ ძვირიაფი, რეიზაა ნეტავი, —რეიზა და კაის კაი ფასი აქვს და გლახა საქონელს გლახა ფასიო.

ყოჩაღ, ამხანაგობავ, იცით, რომ გლახაა და მაინც ჰყიდით და საწყალი ხალხის უზომოთ შრომა ტანჯვას, რასაც აბრეშუმს კეთება თხოულობს, უკარგავთ; მერე და ამას მაშინ სჩადიხართ, როდესაც საბრალოები ფულით, ნასესხი ფულით ყიდულობენ ბეოლას, იქნების ორიოდე კაპეიკი მეტი გამოვრჩეთო და სამაგიეროთ კი აფასებთ.

ნასწავლები რომ კითხავდნენ ფასების მეტ-ნაკლებობაზე, პასუხობდა ამხანაგობა, ამას იმიტომ ვყიდით მეტ-ნაკლებ ფასებში, რომ ზოგის სიკარგეზე დაიმედებული ვართ და ძვირია ის და ზოგიც კი საეჭვოა და იმიტომ ია ფ[illegible]ო იყო საეჭვო თესლის ჭეჭენა და გავრცელება ხალხში, რა დროს ცდაა, რა საჭიროა გამოცდილ-ნაცადის გავრცელება, ეს ხომ მოღალატობაა?.. რაცა, ესეც არაფერი: ახლა მოვიდეთ პარკით ვაჭრობაზე. წრეულს ოზურგეთში გასაყიდი პარკი მაისის ნახევრიდან შემოვიდა, რომელსაც მარტოდ-მარტო ერთი ვაჭართაგანი ყიდულობდა 10 მან. ფუთხა. მაისის დამლევს კი „შუამავალმაც" დაიწყო პარკის ყიდვა ხსენებულ ფასშივე იმ დრომდე, მანამდე ბათომიდან სხვა მყიდველი არ მოვიდა და აქვე არ გამოჩნდა მეორე ადგილობრივი პარკის მყიდველი, ამ ვაჭრების გაჩენის მეოხებით თიბათვის 1 ს 11 მ. შეიქნა ფუთი პარკი და 2-ს კი 12 მ., ამავე ფასებში „შუამავალი" რომ ყიდულობდა პარკსა, მაშინ კერძო ვაჭარი მეტათ ყიდულობდა. რომ ეკითხებოდნენ „შუამავალს", რატომ თქვენც არ უმატებთ სხვასავითაო, —უპასუხებდნენ: ჩვენ 12 მ. მეტს ვერ მივცემთ, ხელს არ გვაძლევსო და ამავე დროს კი თავიანთი 26 მაისს არ შემდგარ შინაურ გამგეობისებურ კრებაზე გადაწყვეტილი აზრი ავიწყდებოდათ. 26 მაისს არ შემდგარ კრებაზედ, გამგეობამ შინაურულად გადაწყვიტა:

1) რამდენი ვაჭარიც უნდა მოვიდეს და რა ფასზეც არ ავიდეს ჩვენ მაინც 50 კაპ. მეტი ვაძლიოთ ფუთ პარკზე არა წვრებს და წვრებს კი ჩვეულებრივ თითო მანეთი ფუთზეო.

2) თუ არ ექნა წრეულს პარკს ფასი ივანობისთვეში, ვიღოთ პარკი იმ პირობით, რომ, როცა ფასი აიწევს, გამყიდველი, მაშინ დავაკმაყოფილოთ აწეული ფასით.

3) [illegible]

რომ საერთა-ჯარო, სასწორი დაედგათ და ყოველ დღე საცალკეოთ დანიშნული კაცი დაეყენებინათ თავზე, რომელიც საწონის სისწორეზე ადევნებდა თვალ-ყურსა, და სხვა მისთანები *)

პირველი თავიანთი აზრი რომ ავიწყდებოდათ, გამყიდველები ეუბნებოდნენ: ჩვენ პარკებს დაგიტოვებთ და როცა ფასი იმატებს ანგარიში მაშინ მოგვეცითო.

ვადა გავიდა იმისიო, ეუბნებოდნენ შემავლელები ჩვენი ვადა პირველ ივანობისთვემდე გვქონდაო. (26 მაისიდგან 1 თიბათვემდე ყოფილა ვადა ნახეთ ხრიკები)?

ამ დღეებში კერძო პირებისაგან ყოფილა ლაპარაკი აღძრული, რომ დავეთანხმოთ კ. არტ. ანჯაფარიძის წერილის შინაარსს და ისე მოვიქცეთო (იხილე „კვალი"-ს №21) სხვაგან წასვლას სჯობია აქავე „შუამავალმა" მოგვიკლას ჭია, შევინახოთ ფასის აწევამდე და მაშინ ისევ შუამავალს მივყიდოთო. ვთხოვოთ იქნების დაგვთანხმდესო.

ამ დროს ერთი შუამავალთაგანიც მოსულა და რომ უკითხავთ ეს, მას უპასუხნია: ჩვენ ამხანაგობას თავისი ქონება იმ მანქანისათვის დაუხარჯავს და ხალხს რომ მოუკლას თავისათვის რაღა დროს მოკლასო?

— ფასით მოგვიკლასო უთხრეს ყველამა.

— ვერ მოასწრებს ამხანაგობა თავისაც მოკლას და იმავე დროს ხალხისაცაო.

— თავისათვის რაღას ყიდულობს, მაშინ ჩვენვე მოკცემთო.

— ამას ვერ იქს წესდება არ აძლევს ნებასაო.

— აბა ის რაღა, 1 ლ მუხლში რომ გიწერიათ, ხალხის ნაწარმოებს მიეცეს ბაზარი და სხ. ბაზარიც ხომ ამნაირ გვარათ მოიპოება, სიკეთეც ამას ჰქვიან.

— აჰ, მაგი შეუძლებელია მაშინ, როდესაც წესდება შეცვლილად გვაქსო და გაუდგა თავის გზას.

— ნამდვილ შეცვლილაო მიაძახა ჯგუფიდგან ერთმა პირმა და ასე დასრულდა ლაპარაკი. ჩვენი „შუამავალი" უწინ, უფრო ხალხის მხარეზე იყო. მიპირულს ხალხის კეთილდღეობას უცქერსო და ახლა კი თავის ჯიბისაკენ იცქირება, რასაც ნამდვილი კამერსანტურ სიფართოვე მიეცა. ასეა, ქველმოქმედებას ველოდით და ცრუ მოქმედებაზე გადავიდა. ანდაზის არ იყოს: „კრავის თავს მოველოდი

*) ამ საერთო-ჯარო საწონზე უნდა აწონილიყო მთელი პარკი, ვისაც უნდა ეყიდნა, რომ გამყიდველი არ მოტყუებულიყო სხვა და სხვა ნაირ სისტემის საწონებით, რომლიდგანაც მალე მოტყუვდე-

და ძაღლის თავი დამიგორდა!“

PS წრევანდელმა მეაბრეშუმეობამ ისუსტა. ხალხმა იფიქრა შარშანდელი ფასი დაუბრუნდება პარკსა და იხეირებს. ერთი ორად დახვავს ქია, ვეღარ აუთავეს საჭმელი ბუღლა ბობოლსა და დიდი კანიდგან ამოსული გადაყარეს ბევრმა და ბევრის მოლოდინში, ცოტაც დაეკარგათ. ანდაზა აუსრულდათ „ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავსო.“ ბუღლი დიდ ფასში გაიყიდა წრეულს, აქაური რომ არ ეყო, ქობულეთიდგან მოჰქონდათ ურმებით. (ჩურუქსუდან, ლაღოვიდგან, მუხასტატიდგან და სხვა სოფლებიდგან). დღეში უკანასკნელი 40—50 ურემი ბუღლი მოეზიდებოდა მაჰმადიანების სოფლებიდან გუვაში.

იგივე აპრაპიპა.

## სხვა-და-სხვა ამბავი

ჟურნალ-გაზეთების [illegible] რიგი მნიშვნელობა. ჟურნალ-გაზეთების მეტ-ნაკლებობა არ შეიძლება კაცმა არ მიიღოს ნიშნად განათლების მეტნაკლებობისა. განსაკუთრებით ერთში დასტამბულ სიტყვას დიდი და მძლავრი გავლენა და ზედმოქმედება აქვს კაცობრიობაზე. ამის მეტნაკლებობაზე შეიტყობა, რამდენად გავრცელებული აქვს ერს ჭკუა და გონება, ქვეყნისა და კაცობრიობის ცნობის-მოყვარეობა და რამდენად კარგად ცხოვრებისათვის იგი მოწადინებული და თვალ-ახელებულია. დრო-გამომშვებით ლიტერატურას, რომელსაც შეადგენს ჟურნალ-გაზეთობა, ამ მხრით დიდი ადგილი უჭირავს ჭკვიანი ადამიანის ჭირით და ვარმით სავსე ცხოვრებაში. არც ერთს განათლებულ ერს უამისოდ ეხლა ცხოვრება არ შეუძლიან: ყველასათვის არამც თუ სასურველია, აუცილებლად საჭიროა კიდეც ყოველმა ერმა იცოდეს, რა არის იგი ქვეყნიერობაში და რა ამბავი და ვითარება მიდის-მოდის მის გარშემო, სად რას გახდეს, სად რა მოიხდინოს, სად რას მისწვდეს და საიდან რა მოიწადინოს. ამ საქმეში ბევრს ჰშველის სხვათა შორის ჟურნალ-გაზეთობა, რომლის თვალი ყველგან ტრიალებს, რომლის გონება ყველგან სჭრის და სჭრის ამიერ და იმიერ ქვეყნებ შორის გზად და ხიდად არის გადებული ერთმანეთის გამოსაცნაურებლად და სალაპარაკოდ. აი სწორედ ამიტომაც ჟურნალ-გაზეთობა ერთ იმ ნიშნად უნდა იყოს ცნობილი, რომელიც აღმატებას ერის განათლებისას უტყუარად აღნიშნავს.

გერმანია ჟურნალ-გაზეთობის რიცხვით ყველაზე წინ არის, იქ იბეჭდება 6,500 ჟურნალ-გაზეთი, საფრანგეთში 5,500, ინგლისში 4,000, რუსეთში 908, შვეიცარიაში ერთ მილიონ მკვიდრზე მოდის 220 ჟურნალ-გაზეთი, ბელგიაში 153, ნორვეგიაში 89, ისპანიაში 68, იტალიაში 51, ავსტრიაში 43, საბერძნეთში 36 და სერბიაშიაც კი 26.

პავლე მოსულიშვილი

## სამეურნეო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)
(შემდეგი *)

ბურბონის ვარდები (Бурбонскія) ათი.

| №. | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენ. | ვინ მოაშენა პირველად | სამშობლო. |
|---|---|---|---|---|
| 1 | სუვენირ დე ლა მალმეზონ. | 1843 | ბელიუზ . . | საფრ. |
| 2 | ბარონ გონელლა . . . | 1849 | გილიო . . | — |
| 3 | ლუიზა ოდიე. | 1851 | მარგოტენ . . | — |
| 4 | მადამ პიერ ოჯერ . . . | 1879 | ოჯერ . . | — |
| 5 | მისტრის ბოზანკეტ . . . | 1832 | ლაფეი . . | — |
| 6 | რეინ დიუ ბურბონ . . | 1834 | მანჯი . . | — |
| 7 | კატრინ გილიო . . . | 1868 | გილიო-სინ . | საფრ. |
| 8 | რენ ვიქტორია . . . | 1872 | შვარც . . . | — |
| 9 | ბლანშ ლაფიტ . . . | 1851 | პრადელ . . | — |
| 10 | მალმეზონ რუჯ . . . | 1882 | გონო . . . | — |

ნოაზეტოური ვარდები სხვა-და-სხვა ფერისა ათი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ვილიამ ალენ რიჩარდსონ . | 1878 | დიუშე . . . | საფრ. |
| 2 | სელინ ფორესტიე . . . | 1842 | ტროაიარ . . | — |
| 3 | ემი ვიბერ . | 1828 | ვიბერ . . . | — |
| 4 | რევე დ'ორ . | 1869 | დიუშე . . . | — |
| 5 | ბუკე დ'ორ . | 1872 | დიუშე . . . | — |
| 6 | ტრიომფ დე რენნ . . . | 1857 | ლანსეზერ . . | — |
| 7 | მად. კაროლინე კიუსტერ . | 1872 | პერნე . . . | — |
| 8 | ოფირი . . | 1842 | გობოლდ . . | — |
| 9 | სოლფატარ . | 1843 | ბოიან . . . | — |
| 10 | ხრომატელლა | 1842 | კოკერან . . | — |

არჩილ დარეჯანაშვილი
(შემდეგი იქნება)

## თეატრალური ბიბლიოთეკა.

შემოწირული წიგნები. ვ. გუნიამ—სამი წიგნი ისტორია ქართულის თეატრისა (1879—1889), სამი წიგნი სიმხური ჟურნალი, «თეატრი» ექვსი წიგნი რუსულ ენაზე «Театралъ,» და შემდეგი წიგნები რუსულ ენაზე: 1, »Горе отъ ума», 2, Театральный сборникъ Корпѣева, томъ II, 3, Чтеніе какъ искусство-Легувэ, 4, Искусство устнаго извлеченія Бродовскаго, 5, О сценическомъ искусствѣ—Юрьева, 6, „Цѣною жизни драма въ 5 д. соч. Волховскаго, აგრეთვე რამდენიმე სურათი არტისტთა და მოღვაწეთა.

დაიბეჭდა და გაიყიდება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.
თხზულებანი
ა. ს. პუშკინისა
ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით
ფასი 50 კაპ.

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 834.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГАЗЕТУ
„СВѢТЪ“
СЪ „ПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ“
съ пересылкою и доставкою:
На четверть года:
съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . . .
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . . . 2 р.
« 1 іюля по 1 октября . . . . . . . .
« 1 октября по 31 декабря . . . . . . .
На полгода:
съ января или съ 1 іюля . . . . . . . . . 4 —
На девять мѣсяцевъ:
съ 1 апрѣля . . . . . . . . . . . . . 6 —
На годъ:
съ 1 января . . . . . . . . . . . . . . . 8 —
На иные сроки подписка не принимается.
ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».
Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.
Редакторъ-Издатель В. В. Комаровъ.

РОССІЯ
ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ
ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ „РОССІЯ“

| | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:
Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія (Невскій № 86).
Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ по третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ своими заявленями въ С.-Петербургѣ (Невскій № 86).
За перемѣну адреѣсса уплаиивается 40 коп. Отделные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.
ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:
Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 коп позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 10 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.
Доставляемыя въ редакцію статьи должны бытъ за подписью и съ адресомъ автора, безъ чего онѣ печмтаемы не будутъ. Статьи, доставляемыя безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не возвращаются.
ЗАВѢДУЮТЪ ОТДѢЛАМИ:
1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А В. Амфитеатровъ.
3 Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраньымъ: Л. Ю Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А. Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Порфировъ.
8) Хроники: А Н. Черминый.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В А. Гиляровскій.
Общественный фельетонъ—по воскресеньямъ—Old Gentleman.
Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.
По средамъ печатается «Милліонеръ» повѣсть В Г. Авсѣенко.
Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.
Корреспондентъ въ специальной командировкѣ по недороднымъ мѣстностямъ: Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ)
Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т. п.
(8—6)